



# E - GOVERNMENT . GE

## ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #21

თებერვალი, 2013

### გამოშვებაში წაიკითხავთ

**1** ვორკშოპი თემაზე - „ელექტრონული მმართველობის ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ევროკავშირში“

**2** ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტომ სემინარი გამართა

**2** სემინარი ინფორმაციულ უსაფრთხოებაში საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის

**3** შეხვედრა 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებთან

**3** ერთიანი საეკონომიკური კომიტეტის შეხვედრა

### ვორკშოპი თემაზე - „ელექტრონული მმართველობის ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები“



სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამშობილების (Twinning) პროექტის - „ელექტრონული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში გამართა სამდღიანი სემინარი თემაზე - „ელექტრონული მმართველობის ეროვნული

სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ევროკავშირში“.

სემინარის მსვლელობისას მოწვეული აუდიტორია გაეცნო ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ინფორმაციული საზოგადოებისა და ელ-მმართველობის განვითარების ეროვნულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს, ასევე განხილულ იქნა ევროპის ციფრული მომავლის (Digital Agenda for Europe) პროექტი. სამდღიანი სემინარის საბოლოო მიზანია, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილებისა და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, მოხდეს ელ-საქართველოს განვითარებისთვის სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ძირითად პარტნიორებთან დისკუსიისა და შეთანხმების საფუძველზე.

ელ-საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტში ასახული იქნება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების, მათი გამოყენებისა და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების მასტიმულირებელი აქტივობები. იდენტიფიცირებული იქნება ელ-მმართველობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების ჩამონათვალი, ბიზნესისა და საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობისა და საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ტექნიკური გარემოს საკითხები.

სემინარი ჩაატარეს კვალიფიციურმა ევროპელმა ექსპერტებმა.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge

იუსტიციის  
სახლი

MY.GOV.GE

სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი

www.my.gov.ge



საპალატიო სერვისების  
განვითარების სააგენტო

www.cra.gov.ge



საპალატიო სერვისების  
განვითარების სააგენტო

www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საქართველოს  
საკანონმდებლო  
გამგია

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

## ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე



2013 წლის 31 იანვარს - 1 თებერვალს, სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებითა და ევროკავშირის და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით, ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ორდღიანი სემინარი გაიმართა. სემინარის მუშაობაში, საქართველოსთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანისა და უკრაინის საჯარო უწყებებთან წარმომადგენლებმა, ხოლო სემინარს უძღვებოდნენ ქართველი და ფინელი ექსპერტები ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის დარგში.

სემინარზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, კიბერუსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი და სხვა საკითხები. სემინარი ასევე მოიცავდა ექსპერტთა პრეზენტაციებსა და ერთდღიან ტრენინგს ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე.

ინფორმაციული უსაფრთხოების სემინარი წარმოადგენს ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის საჯარო მმართველობის რეფორმის პლატფორმის სამოქმედო გეგმის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც საქართველოში 2012 წელს უკვე ჩატარდა რამდენიმე მსგავსი ღონისძიება და შეხვედრა ევროკავშირის და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საჯარო სამსახურის ბიუროსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებით.

## მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საჯარო და კერძო სექტორისთვის ინფორმაციულ უსაფრთხოებაში ტრენინგები ჩაატარა

11-15 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა საჯარო და კერძო სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ტრენინგები ჩაატარეს. ტრენინგის მიზანია გააცნოს ორგანიზაციების შესაბამის პერსონალს ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი მიზნები და მოთხოვნები, რაც ორგანიზაციამ უნდა დააკმაყოფილოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ჩამოყალიბების, დანერგვის, ფუნქციონირებისა და გაუმჯობესების ყველა ეტაპზე.

სატრენინგო კურსის შინაარსი მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: შესავალი ინფორმაციულ უსაფრთხოებაში, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტი.

ტრენინგს ესწრებოდა 23 მონაწილე, რომლებმაც ჩააბარეს საფინანსო ტესტი და გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

## მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში ი. ვეკუას სახელობის თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართეს. სააგენტოს წარმომადგენლები სკოლას მეორედ ეწვივნენ. პირველი შეხვედრა გასულ წელს გაიმართა და მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეტაპებისა და ელექტრონული მმართველობის შესახებ. მეორე შეხვედრა მთლიანად დაეთმო ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს.

„42-ე საჯარო სკოლასთან ჩვენ უკვე გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება. ვინაიდან აღნიშნული სკოლა ტექნიკური პროფილისაა, მოსწავლეთა შორის ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ინტერესი განსაკუთრებით დიდია. საკუთარი ინიციატივით ამ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ ინტერნეტ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, ეცნობიან თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეტაპებს. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრეთ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, გავაცანით ონლაინ უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხდებით კომპიუტერთან მუშაობისა თუ მობილური მოწყობილობების გამოყენებისას. ასევე გადავეცით შესაბამისი თემატური საილუსტრაციო მასალა.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

## ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტის საკოორდინაციო კომიტეტის შეხვედრა



21 თებერვალს ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტის საკოორდინაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს პროექტის მიმდინარეობა, შესრულებული ეტაპები და სამომავლო გეგმები.

შეხვედრების ციკლი პროექტის სხვადასხვა ფაზების იმპლემენტაციის პროცესის ნაწილია, რომლის დროსაც განიხილება ერთიანი სავაჭრო ქსელის პლატფორმისა და მასში ჩართული სუბიექტების ერთნამეთთან კავშირის აგების მოდელი.

ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება საშუალებას მისცემს ვაჭრობაში ჩართულ მხარეებს ელექტრონულ რეჟიმში გაცვალონ ინფორმაცია, რაც შეამცირებს დანახარჯებსა და ტრანზაქციებზე დახარჯულ დროს. იგი საშუალებას მისცემს ვაჭრობის მონაწილეებს თავი აარიდონ დოკუმენტ-ბრუნვას და არა მხოლოდ ელექტრონულად მოახდინონ საჭირო ფორმების შევსება და ტვირთების განბაჟება, არამედ მიიღონ ინფორმაცია გადაზიდვების განრიგის, ტვირთის ადგილმდებარეობისა და ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის შესახებ. აღნიშნული ქსელი კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სატრანზიტო კორიდორის მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საქართველოში ტვირთბრუნვის ზრდას. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბებას, მისი მუშაობის ტექნიკურ ზედამხედველობასა და კოორდინაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო ახორციელებს.



იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge);  
[www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.